

ფილოსოფია

ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ს ა ფ უ ძ ე ლ ე ბ ი / T h e b a s i c s o f P h i l o s o p h y

კურსი მიზნად ისახავს სტუდენტებს გააცნოს სამყაროსადმი ადამიანის მრავალფეროვანი მიმართებათა სისტემის ანალიზი, ფილოსოფიის ძირითადი ელემენტები, ზოგადი ბუნება და საგანი, მისი ძირითადი კატეგორიები, სამყაროსადმი ადამიანის მრავალფეროვანი მიმართებათა სისტემის ანალიზი, ფილოსოფიის ეპოქალური გააზრება, შექმნების თეორიის წარმოშობა. განხილულია ძირითადი მეტაფიზიკური პარადიგმები და ეპისტემოლოგიური კონცეფციები, ადამიანის რაობის საკითხი, სამყაროს კატეგორიის სტრუქტურის ანალიზი. ფილოსოფიის ძირითად მეთოდებზე დაყრდნობით ფილოსოფია წარმოდგენილი იქნება არა როგორც აბსტრაქტული, ცხოვრებისაგან განყენებული ცნებების სიტემა, არამედ როგორც ცოდნა, რომელიც წარმოიშვა ყოველდღიურობის უფრო სიღრმისეული გააზრების შედეგად.

ანტიკური ფილოსოფია / Ancient Philosophy

კურსის მიზანია, სტუდენტები გაეცნონ ანტიკური ფილოსოფიის (ძვ. წ. VI ს. – ახ. წ. VI ს.) ძირითად თავისებურებებს, ხასიათს, ცნებებს, წარმომადგენლებსა და მიმდინარეობებს, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ევროპულ აზროვნებას დღემდე. კურსის მიზანია, სტუდენტები 1) ზოგადად გაეცნონ ფილოსოფიის ისტორიის იმ დიდ მონაკვეთს, რომელმაც მთელი შემდგომი ევროპული აზროვნება განსაზღვრა. 2) გაეცნონ ანტიკური ფილოსოფიის პრინციპებსა და თავისებურებებს, მის მთავარ წარმომადგენლებსა და მათ ძირითად შრომებს, აგრეთვე ანტიკურობაში ჩასახულ იმ ძირითად ცნებებს, რომლებიც შემდგომში ევროპული აზროვნების სამუშაო იარაღად იქცა. 3) ყოველი ცალკეული წარმომადგენლის, სკოლის, შრომისა თუ ცნების გაცნობისას გააანალიზონ, თუ რა არის მათში ისეთი, რაც შეიძლება საინტერესო ყოფილიყო შემდგომი ეპოქებისთვის. კურსი ითვალისწინებს ევროპული ფილოსოფიის საწყისი ეტაპის, ძველბერძნული და ლათინურენოვანი ფილოსოფიის შესწავლას ძვ. წ. VI ს.-დან ახ. წ.-ის VI-მდე. განიხილება ანტიკური ფილოსოფიის ძირითადი პრინციპები, მისი განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შრომები. ანტიკური ფილოსოფია, შეძლებისდაგვარად, განიხილება ანტიკური კულტურის კონტექსტში. ყურადღება მიექცევა ცოცხალ მეტყველებაში სმარებული სიტყვების იმ ცნებებად ჩამოყალიბებას, რომლებიც დღესაც ჩვენი სალაპარაკო თუ სამეცნიერო ენის განუყოფელი ნაწილია.

შუა საუკუნეების ფილოსოფია / Medieval Philosophy

კურსის მიზანია, ევროპული შუა საუკუნეების ფილოსოფიის (II-XIVსს.) ძირითადი ტენდენციებში, თემებში, პრობლემებში ზოგადად გარკვევა, აგრეთვე უმთავრესი წარმომადგენლების შემოქმედებითი აზრის გაცნობა. შუა საუკუნეების ფილოსოფია განიხილება, ერთი მხრივ, ანტიკურობასთან მიმართებით, მეორე მხრივ კი, როგორც “მომზადება” რენესანსის ფილოსოფიისთვის.

საგანი: აღორძინებისა და ახალი დროის ფილოსოფია / Philosophy of Renaissance and Modern Times

კურსის მიზნია აღორძინების ეპოქისა და ახალი ფილოსოფიის მოაზროვნეთა ფილოსოფიურ-თეოლოგიურ მოძღვრებათა საფუძვლიანი ანალიზი და შესწავლა. სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან რენესანსის ეპოქის ევროპული ქვეყნების წარმომადგენლებს, როგორებიც არიან ნ. კუზანელი, ი. ბოემე, ჯ. ბრუნო, გ.გალილეი, ლეონარდო და ვინჩი და სხვა, აგრეთვე ახალი ფილოსოფიის ფუძემდებლები – ფრ.ბეკონი (ემპირიზმის ხაზი) და რენე დეკარტი (რაციონალიზმის ხაზი) თავიანთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელ-გამგრძელებლებით.

გერმანული კლასიკური ფილოსოფია / German Classical Philosophy

კურსის მიზანია, რომ სტუდენტს მისცეს გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ძირითადი ცნებების, კონცეპტებისა და პრობლემების შესახებ ცოდნა; დაანახოს მათ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების (ი. კანტის, გ. ჰეგელის, ი. ფიხტეს, შელინგის) ადგილი ფილოსოფიის ისტორიაში და მათი გავლენა შემდგომი ეპოქების აზროვნებაზე.

ლოგიკა/ Logic

კურსში განხილული იქნება ლოგიკის მეთოდოლოგიური პრობლემების, წინადადებათა და პირველი საფეხურის პრედიკატების კლასიკური ლოგიკის, თვისებებისა და მიმართებების (ცნების) ზოგადი თეორიის, ინდუქციისა და კიპოთეზის, ცნებისა და კატეგორიული სილოგიზმების ტრადიციული თეორიის შესახებ ცოდნის გადაცემა, 2) არგუმენტირების (ბჭობა-განსჯის) ლოგიკურობის კრიტერიუმებისა და ლოგიკის კანონებისა და წესების გამოყენებით დასაბუთებისა და სხვა თეორიული კონსტრუქციების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარ-ჩვევების გამომუშავება. უძველესი დროიდან XX საუკუნემდე შექმნილი უმთავრესი ლოგიკური კონცეფციებისა და ამავე პერიოდში ლოგიკის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ თეორიული ცოდნის ათვისება, ზოგიერთ მნიშვნელოვან თეორიაში პრაქტიკული ორიენტაციის, აგრეთვე მათი ფილოსოფიური გააზრების უნარ-ჩვევების ფლობა.

მეტაფიზიკა და ონტოლოგია/ Metaphysics and Ontology

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ძირითადი ონტოლოგიური მიმდინარეობანი, ის ცნებები და ტერმინოლოგია, რომლებსაც ამგვარი თეორიები იყენებენ; მის ამოცანას წარმოადგენს სტუდენტების დაინტერესება ონტოლოგიური პრობლემატიკით; მათი ფილოსოფიური თვალსაწიერის გაფართოება.

შემეცნების თეორია / Epistemology

კურსის მიზანია შემეცნების პრობლემის არსის, შემეცნების თეორიის წარმოშობის, მისი საგნისა და ამოცანების განსაზღვრა, შემეცნების ძირითადი პარადიგმებისა და ეპისტემოლოგიური კონცეფციების განხილვა, შემეცნების ადგილის დადგენა ადამიანის ყოფიერებისა და კულტურის მთლიანობაში. კურსის საფუძვლიანად ათვისებამ სტუდენტს უნდა გამოუმუშავოს ძირითადი ეპისტემოლოგიური ცნებებისა და პრინციპების კონკრეტული ფაქტებისადმი მიყენების უნარ-ჩვევები, ასევე ნებისმიერ ფილოსოფიურ პრობლემაზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისა და დებატებში მონაწილეობის უნარი.

ესთეტიკა /Aesthetics

კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა ესთეტიკურის, მშვენიერების და ხელოვნების არსის, სტრუქტურის, მისი ონტოლოგიური სტატუსის, მისი შემეცნების გზებისა და მეთოდების, ფუნქციების, ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების, ესთეტიკური გამოვლების, ესთეტიკური შეფასების ფორმების, ხელოვნების გაგებისა და ინტერპრეტაციის შესახებ. გააცნოს თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშნის - საყოველთაო ესთეტიზაციის - ძირითადი თავისებურებანი.

ეთიკა / Ethics

კურსი წარმოადგენს ეთიკის ძირითადი საკითხების პრეზენტაციას. კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტს ზნეობრივი ღირებულებების სპეციფიკა, ზნეობრივი ფენომენის სტრუქტურა, ზნეობრივი პროცესის კანონზომიერებანი, სულიერი ღირებულებებისა და კეთილდღეობის არსი, ეთიკური ცნებებისა და კატეგორიების კლასიფიკაცია და სხვა საკითხები. თანამედროვე ეთიკური თეორიების შუქზე გაანალიზდება იმ პრინციპებისა და ნორმების შინაარსი, რომლებითაც ხასიათდება პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ძირითადი ეთიკური პოზიციებისა და ეთიკური საკითხების გაშლის გზით სტუდენტს საშუალებას მისცემა გაერკვეს თანამედროვე ეთიკის დილემებსა და კოლიზიებში, იგი შეიძენს მათი გააზრებისათვის აუცილებელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. ყოველი თემის თეორიულ განხილვას აუცილებლობით მოჰყვება დისკუსია და ანალიზი. ამასთან ერთად, წერის კულტურის განვითარების მიზნით სტუდენტებს დაევალებათ აკადემიური ნაშრომის შესრულება.

პოლიტიკური ფილოსოფიის შესავალი/ Introduction to Political Philosophy

კურსის მიზანია პოლიტიკური ანალიზის მეთოდურ წანამძღვრების, პოლიტიკური, იდეოლოგიური კრიტერიუმებისა და ღირებულებების, ფილოსოფიური ტექსტების პოლიტიზირების საზღვრების, პოლიტიკის სამყაროს, როგორც პოლიტიკურ-ფილოსოფიური რეფლექსიის ობიექტის, პოლიტიკური ფილოსოფიის არსობრივი ხასიათის, პოლიტიკური ფილოსოფიის, პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების საზღვრითი ცნებებისა და ძირითადი ნიშან-თვისებების შესწავლა, რაც ხელს შეუწყობს ანტიკური დროიდან თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების ნააზრვის შესწავლას. კურსის მიზანია, სტუდენტებს გამოუმუშავდეს პოლიტიკური ტექსტებისა და პროცესების კრიტიკული ანალიზის უნარი და მათ როგორც წერითი, ისე ზეპირი ფორმით შეძლონ არგუმენტირებულად ჩამოაყალიბონ დაგროვილი ცოდნა.

რელიგიის ფილოსოფია/ Philosophy of Religion

კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს რელიგიური ფილოსოფიის, როგორც აზროვნების ტრადიციისა და ფილოსოფიური დისციპლინის, ფორმირების ძირითადი ეტაპები, მიმართულებები და კონცეფციები, ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიის ფილოსოფიური პრობლემები, პოსტულატები, რომლებიც ქმნიან რელიგიური მენტალობის სპეციფიკას და რელიგიური და კულტურული იდენტობების მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ. თითოეულ თემაზე თეორიული საკითხების განხილვას მიჰყვება დისკუსია, ანალიზი,

სასემინარო მუშაობა. კურსის მიზანია, სტუდენტს გამოუმუშაოს რელიგიურ-ფილოსოფიური პრობლემატიკის განმარტებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები.

მეცნიერების ფილოსოფია/ Philosophy of Science

კურსის გავლის შემდეგ სტუდენტმა იცის, რომ 1.თანამედროვე საზოგადოებასა და ადამიანის ყოფიერებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ცოდნა და ცოდნის წარმოება, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანესი საქმიანობა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. 2. მეცნიერება და ფილოსოფია არის ადამიანის შემეცნებითი აქტივობის (ცოდნის, კონტენტის, საზრისების) ორი უმნიშვნელოვანესი მაწარმოებელი და მათ შორის ურთიერთობის ხასიათის, მათი როლისა და მნიშვნელობის გარკვევა თანამედროვე საზოგადოებისა და ადამიანის ყოფიერებაში მნიშვნელოვანია. 3. მეცნიერების კანონების ბუნება, ახსნის სტრუქტურა, ინდუქციის და მიზეზობრიობის პრობლემა, 4. მეცნიერული ცოდნის სპეციფიკის ახსნა (დემარკაციის პრობლემა), 5. მეცნიერული თეორიის, კანონისა და ჰიპოთეზის შემოწმების, დადასტურებისა და დარღვევის პროცედურები. 6. მეცნიერული ცოდნის ცვალებადობის, ევოლუციის, ზრდის კანონზომიერებები. ამ პრობლემებთან კავშირში შესწავლილი იქნება მეცნიერების ფილოსოფიის კონცეფციები XX საუკუნეში.

კულტურის ფილოსოფია /Philosophy of Culture

კურსის მიზანია, მოამზადოს სტუდენტი კულტურის რთული და მრავალმხრივი ბუნების თეორიული შესწავლისათვის, გარდა ამისა, ახალგაზრდას გაუფართოოს თვალსაწიერი და მოამზადოს თანამედროვე სამყაროში გარკვევისათვის, კულტურათა დიალოგში მონაწილეობისათვის. კურსის მიზანია, სტუდენტს მისცეს ცოდნა კულტურის არსის, კულტურის სტრუქტურის, მისი ონტოლოგიური სტატუსის, მისი შემეცნების გზებისა და მეთოდების, ფუნქციების, ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების და სხვ. შესახებ.

მთელ მსოფლიოში კულტურის კვლევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო. მიიჩნევენ, რომ ბიპოლარული სამყაროს რღვევის შემდეგ, მსოფლიო თანდათანობით პოლიტიკურად ჰომოგენური ხდება, ხოლო კულტურათა შორის განსხვავებას განიხილავენ პოსტინდუსტრიული საზოგადოების მთავარ წინააღმდეგობად, ამიტომ კულტურის ფილოსოფია, როგორც დისციპლინა, დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

ქართული ფილოსოფიური აზრი/ History of Georgian Philosophical Thought

კურსის მიზანია, სტუდენტები გაეცნონ ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში ძირითად წარმომადგენლებს, მიმდინარეობს, ტექსტებსა და ფილოსოფიურ ცნებებს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება შუა საუკუნეების (XI-XII) სს.-ის ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ტექსტებზე, განსაკუთრებით იოანე პეტრიწის კომენტარზე პროკლეს “თეოლოგიის საფუძვლებზე”.

აღმოსავლური ფილოსოფიური მოძღვრებები /Eastern Philosophy

კურსის მიზანია, უმდიდრესი საკაცობრიო სულიერი კულტურის, თეოლოგიურ-ფილოსოფიური მემკვიდრეობის შესწავლა. ეს ეხება როგორც ე.წ. ორთოდოქსალურ (მიმანსა, სანჰქია, იოგა, ნიაია, ვაიშეშიკა, ვედანტა), ასევე არაორთოდოქსალურ (ბუდიზმი, ჯაიანიზმი, ჩარვაკა-ლოკაიატა) მოძღვრებებს. როგორც ცნობილია, აღმოსავლურმა აზროვნებამ ხანგრძლივი პროცესი გაიარა. სასწავლო კურსის მიზანია აღმოსავლური მოძღვრებების მდიდარი მასალის არსებითი და საფუძვლიანი ანალიზი, იმანენტური ტენდენციების გამოვლენა არა მხოლოდ მათი ურთიერთშედარების გზით, არამედ საკაცობრიო აზროვნების დინების, განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ევროპელი და აღმოსავლური ფილოსოფიური-თეოლოგიური აზროვნების შინაგანი იდენტური იმპულსები და ხშირ შემთხვევებში მათი ორგანული ისტორიული კავშირები.

ანტიკური და ქრისტიანული პლატონიზმი /Ancient and Christian Platonism

კურსის მიზანია, სტუდენტებმა კონკრეტული ტექსტების შესწავლის საფუძველზე გაიგონ, რა იგულისხმება ფილოსოფიის ისტორიისთვის, და საზოგადოდ აზროვნების ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს ცნებაში “პლატონიზმი”, დაინახონ პლატონური თემების ინტერპრეტაციის ასპექტით მსგავსებები და განსხვავებები ანტიკურ, გვიანანტიკურ და ქრისტიანულ მსოფლმხედველობებს შორის. კურსი ითვალისწინებს პლატონის ფილოსოფიის ძირითადი ასპექტების (ონტოლოგია: მიმართება ერთსა და მრავალს შორის; კოსმოლოგია: კავშირი იდეას, დემიურგსა და სამყაროს შორის; ეთიკა და ანთროპოლოგია: რა არის სიკეთე, ბედნიერება, ნება, თავისუფლება) განხილვას როგორც თავისთავად (ანუ „პლატონურად“), ასევე მათი შემდგომი ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის კუთხით. ძირითადი ამოსავალი ტექსტები იქნება შესაბამისი ადგილები პლატონის დიალოგებიდან: „პარმენიდე“, „ტიმაიოსი“, „სახელმწიფო.“ განხილვება ამ დიალოგების ძირითადი თემების ინტერპრეტაცია ანტიკურ ნეოპლატონიზმში, კერძოდ, პლოტინის „ენეადების“ რამდენიმე ტექსტში, აგრეთვე პროკლეს კომენტარებში პლატონის ხსენებულ დიალოგებზე და მის სხვა შრომებში. კურსის მეორე ნაწილი დაეთმობა ანტიკური პლატონიზმის რეცეფციასა და ტრანსფორმაციას ქრისტიანულ (ნეო)პლატონურ ტექსტებში, კერძოდ, ფსევდო დიონისე არეოპაგელის თხზულებებსა და მის შუა საუკუნეების კომენტარებში, აგრეთვე იოანე პეტრიწის კომენტარებში პროკლეს შრომებზე.

რუსული რელიგიური ფილოსოფია/ Russian Religion Philosophy

კურსის მიზანია, სტუდენტს გააცნოს რუსული ფილოსოფიური აზროვნების ფორმირების ძირითადი ეტაპები, მიმართულებები, ამოსავალი პოსტულატები და ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეპტები, რომლებიც ქმნიან საკუთრივ რუსული ფილოსოფიური მენტალობის სპეციფიკას და რუსული კულტურისა და იდენტობების მნიშვნელოვან ფაქტებს წარმოადგენენ.

ენის ფილოსოფია/ Language Philosophy

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს XX საუკუნის მე-2 ნახევრის დასავლეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფილოსოფიური მიმართულების, ანალიტიკური ენის ფილოსოფიის პრობლემები. კურსში დიდი ადგილი დაეთმობა ანალიტიკური ფილოსოფიის კონკრეტული პრობლემების განხილვას. კურსმა უნდა აჩვენოს მიმართულებისათვის აქტუალური

პრობლემების კავშირი ფილოსოფიის კლასიკურ პრობლემატიკასთან, ის თუ რამდენადაა სახეცვლილი კლასიკური ფილოსოფია გასული საუკუნის ფილოსოფიურ პრობლემებში.

ჰუმანიტარული ცოდნის მეთოდოლოგია/ Methodology of Humanitarian Knowledge

სასწავლო კურსის მიზანია, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის კონცეფტუალური აპარატისა და პრინციპების კრიტიკული გააზრება. კერძოდ, ყურადღება გამახვილდება ჰუმანიტარული მეცნიერებების სპეციფიკური ბუნების განსაზღვრაზე, ჰუმანიტარული მეცნიერების ადგილსა და ღირებულებაზე ადამიანური ცოდნის მთლიან სისტემაში, მეთოდის როლზე ჰუმანიტარულ კვლევებში, პარადიგმების ცვლის დინამიკაზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და ჰუმანიტარული მეცნიერებების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე პოსტმოდერნის ეპოქაში.

ანალიტიკური ფილოსოფია/ Analytical Philosophy

კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ანალიზური ფილოსოფიის ცენტრალური ფიგურები (მური, რასელი, ვიტგენშტაინი, ვენის წრე, ქუაინი, გრაისი, პატნემი, კრიპკე და სხვა) და პრობლემები. გაეცნობიან ანალიტიკური ფილოსოფიის ძირითადი ცნებებს, პრობლემებსა და მიმდინარეობებს. გაანალიზებული იქნება ანალიტიკური ფილოსოფიის როლი და ადგილი თანამედროვე აზროვნებაში, გააცნობიან აზროვნების ანალიტიკური წესსა და მნიშვნელოვან ტექსტებს.

ინფორმაციული საზოგადოება და კომუნიკაციები / Informational Society and Communications

კურსის მიზანია, სტუდენტი გაეცნოს ინფორმაციული ეპოქის განვითარების ძირითად ნიშნებსა და ინდიკატორებს, ინფორმაციული საზოგადოების მოდელს, სახელმწიფოსა და ძალაუფლების ახალ პარადიგმას, ინფორმაციული საზოგადოების კულტურის, ადამიანის ყოფიერების თავისებურებას. სტუდენტი დაეუფლება ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ფილოსოფიურ-სოციოლოგიური პრობლემატიკისა და ძირითადი ცნებების კრიტიკულ ანალიზს.

ისტორიის ფილოსოფია/ Philosophy of History

სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს ისტორიის ფილოსოფიის ძირითადი ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური ხასიათის პრობლემები, მათი გადაწყვეტის გზები და თავისებურებები. კერძოდ, კონცეფტუალური მიდგომისათვის უპირატესობის მინიჭების პირობებში, სტუდენტებს მკაფიო წარმოდგენა შეექმნათ ისტორიის ფილოსოფიის განვითარების ძირითად ეტაპებზე (ანტიკურობიდან დღემდე), ადამიანის ისტორიულობის სპეციფიკურ (მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ) ბუნებაზე, ისტორიული (წარსულის) შემეცნების თავისებურებებსა და მის მიმართებაზე შემეცნების სხვა ტიპებთან.

სასწავლო კურსმა სტუდენტებს (მნიშვნელოვან მოაზროვნეთა ორიგინალური ფილოსოფიური ტექსტებისა და დამხმარე ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე) შესაძლებლობა უნდა მისცეს, რომ ერთმანეთისაგან გამოიჯნონ და კრიტიკულად გაიაზრონ ისტორიის ფილოსოფიისათვის ფუნდამენტური მიდგომები და პარადიგმები.

ფილოსოფიური ანთროპოლოგია/ Philosophical Anthropology

კურსი ითვალისწინებს ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ძირითადი პრობლემებისა და კონცეპტების შესწავლას. მათ შორის ყურადღება გამახვილდება ადამიანის სამი ძირითადი იდეის შესახებ: ანტიკურობიდან მომდინარე ადამიანის განმარტება, როგორც ანიმალ

რაციონალე, თეოლოგიური ანთროპოლოგიის ტრადიციაზე, რომელიც გამოხატულია გენერალურ თეზისში – „ადამიანი შექმნილია ხატად და მსგავსად ღვთისად,“ მესამე ტრადიცია გულისხმობს ადამიანის განხილვას ბუნების ევოლუციის ერთ-ერთ საფეხურად და პროდუქტად. კურსის ფარგლებში შეისწავლება თითოეული ამ ტრადიციის პრინციპები და პოსტულატები, ასევე, მათი შემდგომი ინტერპრეტაციისა და ტრანსფორმაციის შედეგად წარმოშობილი კონცეფციები. კურსში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა მაქს შელერისა და მისი მიმდევრების კონცეფციათა შესწავლას, აგრეთვე ფროიდის, ტეიარ დე შარდენის, ფრანგი სტრუქტურალისტებისა და პოსტმოდერნისტების ანთროპოლოგიური კონცეფციების შესწავლას.

ხელოვნების ფილოსოფია/ Philosophy of Art

საღეჭციო კურსის მიზანია, მოიცვას ხელოვნების ფილოსოფიის ძირითადი თემები და საკითხები. მან შესაძლებლობა უნდა მისცეს სტუდენტებს, საფუძვლიანად გაერკვნენ ხელოვნების ფილოსოფიური გააზრების პრობლემატიკასა და სპეციფიკაში, სხვადასხვა მიდგომისა და პოზიციას შორის არსებულ განსხვავებასა და ამ განსხვავების არსებით ასპექტებში. ონტოლოგიური მიდგომისათვის უპირატესობის მინიჭების პირობებში სტუდენტებს საშუალება უნდა მიეცეთ ხელოვნება გაიაზრონ ესთეტიკური მიდგომის კრიზისის, ადამიანის ყოფიერების ღიაობის, ჭეშმარიტების, ენის, მოვლინების, ისტორიულობის, კულტურის და სხვა (კონცეფტუალურად ფუნდამენტურ) ცნებებთან მიმართებით. ეს დაეხმარება სტუდენტებს ხელოვნების სინქრონულ-დიაქრონული სურათის, აგრეთვე ხელოვნების ფილოსოფიის შესახებ სისტემური თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში.

შემოქმედების ფილოსოფია/ Philosophy of Creativity

კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ცოდნა შემოქმედების არსის, სტრუქტურის, მისი ონტოლოგიური სტატუსის, მისი შემეცნების გზებისა და მეთოდების, ფუნქციების, მასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებებისა და კატეგორიების: წარმოსახვის, შთაგონების, ინტუიციის, ანტიციპაციის, შემოქმედების სახეების, პროცესის, ნიჭის ტალანტის, გენიის და სხვა, ასევე აჩვენოს შემოქმედების როლი და მნიშვნელობა კულტურშემოქმედებაში.

XX საუკუნის ფილოსოფიური მიმდინარეობები/ Philosophy of XX Century

კურსის ფარგლებში განხორციელდება თანამედროვე კონტინენტური და ამერიკული ფილოსოფიური აზრის, როგორც დასაბუთებული ფილოსოფიური დისკურსის ძიების დინამიკა, მისი ძირითადი მიმართულებები და მათი საერთო მახასიათებლები, სამომავლო პერსპექტივის ჭრილშია გახსნილი. კურსი გაიშლება თ. ადორნოს მიერ დასმულ კითხვაზე “რად საჭიროა ფილოსოფია?” პასუხთა ანალიზის ფონზე. კურსის ფარგლებში გამართული დისკუსიები სტუდენტს მისცემს დასაბუთებულ ცოდნას იმის თაობაზე, რომ თანამედროვე საკაცობრიო კულტურა წარმოუდგენელია ნიცშეს, პირსის, ჯეიმსის, დიუისის, რორტის, ჰაიდეგერის, ფრომის, შელერის, სარტრის, ფუკოს, დერიდას გარეშე. კურსი იმგვარადაა აგებული, რომ სტუდენტს საშუალებას მისცეს გაერკვეს თანამედროვე ფილოსოფიის პროცესების არსებით ტენდენციებში, შეიძინოს მისი გააზრებისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები. იგი აითვისებს იმ ხერხებს, რომლებიც შემდგომში მას დაეხმარება დამოუკიდებლად იკვლიოს მისთვის საინტერესო საკითხი.

